

ლევან ბებურიშვილი
ნათია სიხარულიძე
(საქართველო)

**„ჟამი შეკრებად ქუათა“
(თეიმურაზ დოიაშვილის თხზულებათა ხუთტომეულის
გამოცემის გამო)**

თეიმურაზ დოიაშვილის სახელი კარგად არის ცნობილი როგორც სამეცნიერო-ლიტერატურული საზოგადოებისათვის, ისე მკითხველთა ფართო წრისათვის. მისი ინტერესის სფერო მრავალფეროვანია და მოიცავს ლიტერატურის ისტორიასა და თეორიას, ვერსიფიკაციას, გალაკტიონოლოგიას და კრიტიკას.

თეიმურაზ დოიაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს უკავშირდება, სადაც მან გაიარა გზა ასპირანტიდან მთავარ მეცნიერ-თანამშრომლამდე. 1999 წლიდან იგი ლიტერატურის თეორიისა და ლექსმცოდნეობის განყოფილებას ხელმძღვანელობდა, დღეისათვის კი მისივე დაარსებული „გალაკტიონის კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელია.

თეიმურაზ დოიაშვილი სხვადასხვა დროს იყო მთავარი რედაქტორი ჟურნალებისა: „კრიტიკა“, „ქართული მწერლობა“, „ცისკარი“, „ლაშარი“. მისი დაარსებულია პერიოდული თეორიულ-ლიტერატურული კრებული „სჯანი“ და სამეცნიერო-ლიტერატურული კრებული „გალაკტიონოლოგია“.

მეცნიერის ლიტერატურული დამსახურება არაერთი პრემიით არის აღნიშნული. მათ შორისაა საქართველოს მწერალთა კავშირის პრემია კრიტიკაში, ვაჟა-ფშაველას პრემია, „საბა“, მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის პრემია, „საგურამო“ და გრიგოლ კიკნაძის სამეცნიერო პრემია ლიტერატურათმცოდნეობაში.

თეიმურაზ დოიაშვილის გამოკვლევები, წერილები და მონოგრაფიები თავმოყრილია თხზულებათა ხუთტომეულში, რომლის მნიშვნელობაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

* * *

თეიმურაზ დოიაშვილის თხზულებათა პირველ ტომში შეტანილია ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი ნარკვევები, ესეები, რეცენზიები და პოლემიკური სტატიები.

ეს ნარკვევები გამორჩეულია არამხოლოდ თემის გადაწყვეტის, არამედ საკითხის დასმის სიახლითაც. თეიმურაზ დოიაშვილი იმ პრინციპის მიმდევარია, რომლის თანახმადაც მკვლევარმა მხოლოდ მაშინ უნდა მოჰყიდოს კალამს ხელი, როდესაც მას თვისებრივად ახალი სათქმელი აქვს მკითხველისათვის. საზოგადოდ, ავტორის სამეცნიერო ნაშრომთა საერთო მახასიათებელია საკვლევ საკითხთან დაკავშირებული მასალის ზედმიწევნით ფლობა და სიღრმისეული ანალიზი ფართო ლიტერატურული კონტექსტის გათვალისწინებით. ქართული ლიტერატურის ისტორიის პრობლემებისადმი მიძღვნილ ამ წერილებში ჩვენი კლასიკოსების შემოქმედება გაანალიზებულია არამხოლოდ ეროვნული ლიტერატურის განვითარების ჭრილში, არამედ ევროპული ფილოსოფიური და თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების კონტექსტში. ეს ნაშრომები კომპლექსური ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის ნიმუშებად გვევლინება, რამდენადაც ავტორი ერთი რომელიმე მეთოდოლოგიის გამოყენებით კი არ იფარგლება, არამედ საკვლევი საკითხის სპეციფიკის შესაბამისად სინქრონულად იყენებს კვლევის სხვადასხვა მეთოდებს.

თხზულებათა პირველი ტომი აღორძინების ხანის ქართული ლიტერატურის კლასიკოსის – სულხან საბა ორბელიანის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ნაშრომებით იხსნება. წერილებში „სულხან-საბას „დიალოგები“ და „მოტირალ-მოცინარი სულხან-საბა“ დადგენილია ის ლიტერატურული კონტექსტი და გზა – თუ როგორ უნდა იქნეს წაკითხული „სიბრძნე-სიცრუისა“; წარმოჩენილია, რომ ნაწარმოების პერსონაჟები არამხოლოდ კონკრეტული მხატვრული სახეები არიან, არამედ – მსოფლმხედველობრივი სიმბოლოები და მათი ურთიერთობით ტექსტში მსოფლმხედველობათა დიალოგი იქმნება. საზოგადოდ, დიალოგურობა „სიბრძნე-სიცრუისას“ კონსტრუქციული პრინციპია, იგავები კი მწერლის ეთიკური კონცეფციის თანამიმდევრულად მოცემას ემსახურება. თეიმურაზ დოიაშვილის დასკვნით, სულხან-საბა რელიგიურ-ეთიკური პოზიციიდან აკრიტიკებს გვიანრენესანსულ სეკულარულ ინდივიდუალიზმს, რაც „სიბრძნე-სიცრუისას“ ბაროკოს კულტურასთან აახლოებს.

გენიალური ქართველი რომანტიკოსის – ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტიკის ძირითადი მარკერებია გაანალიზებული წერილში „სულის კვეთება“. აქვე მოცემულია პოეტის რამდენიმე ლირიკული შედევრის გააზრება ახლებური კუთხით.

ბარათაშვილის შედეგში – „ფიქრნი მტკვრის პირას“ – გამოხატული ფილოსოფიური თვალსაზრისის გენეზისის კვლევას ეძღვნება სტატია „მაგრამ რადგანაც (კანტი – კარამზინი – ბარათაშვილი)“. ამ მცირე, მაგრამ აზრობრივად ტევად ნაშრომში აღნიშნულია დიდი გერმანელი ფილოსოფოსის – იმანუელ კანტისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ეთიკურ თვალსაზრისთა დიდი მსგავსება. გამოვლენილია ის სავარაუდო ლიტერატურული წყაროც, რომელსაც შუამავლის როლი უნდა შეესრულებინა კანტის ნააზრევს ბარათაშვილამდე მიტანაში – ესაა რუსული სენტიმენტალიზმის ფუძემდებლის – ნიკოლაი კარამზინის ენციკლოპედიური ინფორმაციის შემცველი წიგნი – „რუსი მოგზაურის დღიურები“.

ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ორივე ნარკვევი იმ ფაქტის ნათელ ილუსტრირებას ახდენს, რომ ქართველი რომანტიკოსის შემოქმედებითი ინტერესები განუყოფლადაა დაკავშირებული მისი თანამედროვე ევროპული ინტელექტუალური ელიტის საფიქრალთან.

ილია ჭავჭავაძის პოეტიკის საყურადღებო დახასიათებაა წარმოდგენილი წერილში „სამირკვლად აზრი ჩააგე“. ნაშრომში ნაჩვენებია ილიას ლირიკის ფორმირების პროცესი და წარმოჩენილია მისი რეალისტური პოეზიის ნოვატორული არსი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ილიას ლირიკაში პაროდირების მხატვრული ხერხის აქცენტირება, რაც დიდი სამოციანელის შემოქმედებაში რომანტიკული პოეტიკის დამღვევის ერთ-ერთ საშუალებად გვევლინება. ლიტერატურის ისტორიკოსისათვის მეტად ფასეულია ნაშრომის ავტორის დაკვირვებები ილიას ლირიკის რიტმულ მდინარებასა და პოეტური ფრაზის ენერგიულობაზე.

წერილი „ბედნიერი ერი“: სტრუქტურა და საზრისი“ იმის ნათელ დასტურად გვევლინება, თუ რამდენად შეიძლება გაამდიდროს ჩვენი ცოდნა ნაწარმოების იდეური შინაარსის შესახებ მისი მხატვრული ფორმის დაკვირვებულმა შესწავლამ. ქართული ლექსის ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა მკვლევარს შესაძლებლობას აძლევს დაადგინოს „ბედნიერი ერის“ პოეტური ფორმის გენეზისი. ნაშრომში საკითხის ვირტუოზული კვლევით „ბედნიერი ერის“ მაგალითზეა წარმოჩენილი, „თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა „უტილიტარისტი“, „შინაარსის პოეტი“ ილია ჭავჭავაძე ფორმა-შინაარსის ერთიანობის პრინციპს“.

ანალოზის მასშტაბურობით და დასკვნების ნოვაციურობით იპყრობს ყურადღებას ნარკვევი „აკაკის „გამზრდელი“ და განმანათლებლობის პარადიგმა“. არაერთი მკვლევარი დაუბნევია „გამზრდელში“ გამოვლენილ წინააღმდეგობას პოემაში გამოხატულ ზოგად თვალსაზრისსა („მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა“) და მოძღვრის საქციელს შორის.

ამ წინააღმდეგობას თეიმურაზ დოიაშვილი ნაწარმოების ორპლანიალობით ხსნის. მისი შეხედულებით, „გამზრდელი“ ერთგვარი „ფილოსოფიური პარა-ბოლაა“, პერსონაჟები კი ფსიქოლოგიური ხასიათები კი არ არიან, არამედ ერთგვარ სახე-იდებებად გვევლინებიან: ბათუ – რუსოსეული „ბუნების ადამიანის“ პერსონიფიკაციაა, საფარ-ბეგი – ცივილიზებული ცხოვრების ექსპანსიას გამოხატავს „მარტივი ცხოვრების“ მიმართ, ჰაჯი უსუბი კი განმანათლებლობის სიმბოლურ სახედ წარმოდგება. ნაშრომის ავტორის დასკვნით, აღმზრდელის თვითმკვლევლობის ფაქტი მიუთითებს აკაკის სკეფსისზე აღზრდის ყოვლისშემძლეობის განმანათლებლური იდეისადმი. ამგვარად ჩნდება ქართული რეალიზმის კლასიკოსის შემოქმედებაში კრიზისული, მოდერნისტული ცნობიერების ნიშნები. ეს დასკვნა იმითაცაა საყურადღებო, რომ ადასტურებს იმ თვალსაზრისის სიმცდარეს, რომლის თანახმადაც, მოდერნიზმი ჩვენში იმპორტირებული მოვლენა იყო და ეროვნულ ლიტერატურაში წანამძვრები არ მოეპოვებოდა.

თხზულებათა პირველ ტომში რამდენიმე სტატია ეძღვნება მეოცე საუკუნის ქართული პროზის კლასიკოსების – მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიასა და ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებას.

ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის საეტაპო მნიშვნელობის ნაშრომად შეიძლება ჩაითვალოს „მიხეილ ჯავახიშვილი და ფსიქონალიზი“, რომელშიც დიდი მწერლის ორი მოთხრობა ზიგმუნდ ფროიდის ფსიქონალიზის შუქზეა განხილული. ქართულ სინამდვილეში ეს არის პირველი ნიმუში ისეთი კვლევისა, რომელშიც ავტორი საბჭოური კლიშეების გარეშე მსჯელობდა ფროიდის მოძღვრებაზე და მის რეცეფციაზე ქართველი მწერლის შემოქმედებაში.

ასეთივე დიდი სიახლე იყო 60-იანი წლების მიწურულს კონსტანტინე გამსახურდიას ექსპრესიონისტული ნოველების კვლევა, რომლებიც მიზანმიმართულად იყო ჩრდილში მოქცეული მოდერნიზმისადმი საბჭოთა იდეოლოგიის მტრული დამოკიდებულების გამო. ნარკვევში „მატერიაზე გავლით – სულობისაკენ“ კონსტანტინე გამსახურდიას მცირე პროზა – ნოველისტიკა სიღრმისეულადაა გაანალიზებული ექსპრესიონისტული ესთეტიკის არეალში. მწერლის შედარებით უცნობი, საინტერესო მოდერნისტული ნოველის ანალიზს ეთმობა წერილი „სიბრძნე სიცრუისა“ და „სიბრძნე სიცრუისა“, რომელშიც საინტერესოა ნაჩვენები, თუ როგორ ცდილობს მოდერნისტი ავტორი, ვულგარული რეალიზმის ეპოქაში, მიმეტური ხელოვნების კრიტიკისა და შემოქმედებითი გამოწაფის უფლებების დაცვისას, მოკავშირედ გაიხადოს სულხან-საბა ორბელიანი.

ნიკო ლორთქიფანიძის იმპრესიონისტული პოეტიკის საყურადღებო დახასიათებას ვხვდებით წერილში „განწყობილებათა და შთაბეჭდილებათა მხატვარი“, სტატიაში „ერთ მოთხრობის კონცეფცია“ კი ახლებურად, სრულიად ახალი აქცენტების გამოკვეთითაა გაანალიზებული მწერლის ცნობილი ნოველა „შელოცვა რადიოთი“.

მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის შესწავლისათვის ჩინებულ გეზის გამკვალავად გვევლინება პუბლიკაციები – „პოეტი ენას ეკუთვნის“ და „წინასიტყვა ქართული პოეზიის თხუთმეტომეულის XII-XV ტომებისათვის“. მათში თეზისურად, კონდენსირებულადაა დახასიათებული უახლესი ქართული პოეზიის განვითარების ძირითადი ეტაპები და პანორამულადაა წარმოჩენილი მეოცე საუკუნის ქართველ პოეტთა შემოქმედების ძირითადი ტენდენციები. დასახელებულ წერილებში წარმოდგენილი არაერთი თეზისური დებულება იძლევა ფართო ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის გაშლის შესაძლებლობას.

თხზულებათა პირველ ტომში ცალკე განყოფილება ეთმობა ქართული ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის პრობლემებისადმი მიძღვნილ ნაშრომებზე დაწერილ რეცენზიებს, რომელთა ნაწილი კრიტიკოს ლევან ბრეგაძესთან თანაავტორობითაა შექმნილი. 70-იან წლებში სწორედ თეიმურაზ დოიაშვილმა და ლევან ბრეგაძემ ააღორძინეს სამეცნიერო რეცენზიის ჟანრი, რომელიც, ფაქტობრივად, გამქრალი იყო ქართული სინამდვილიდან. ახალგაზრდა კრიტიკოსები არ უშინდებოდნენ, პირუთვნელად შეეფასებინათ აღიარებულ ავტორიტეტთა შრომები, რამაც ბევრი დაუმსახურებელი უსიამოვნება შეამთხვია მათ (თეიმურაზ დოიაშვილი სამჯერ გაათავისუფლეს ლიტერატურული ჟურნალების მთავარი რედაქტორის თანამდებობიდან).

თეიმურაზ დოიაშვილისა და ლევან ბრეგაძის საქმიან, საკითხის ღრმა ცოდნითა და კრიტიციზმით დაწერილ რეცენზიებში მიუდგომლადაა შეფასებული ქართველი მეცნიერების – რევაზ სირაძის, გრივერ ფარულავას, მანანა კაკაბაძის, იუზა ევგენიძის და სხვათა სამეცნიერო ნაშრომების ავ-კარგი.

ქართული ლიტერატურათმცოდნეობის წინაშე დღემდე გადაუჭრელ პრობლემად დგას სქემატიზმი, კლასიკის „კვლევა“ ისტორიულ-ლიტერატურული კონტექსტის გაუთვალისწინებლად, ტექსტებისთვის თავს მოხვევა ათასნაირი თეორიისა, რომელთა არსი თავად მკვლევარებსაც არ აქვთ ნათლად გაცნობიერებული. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია თეიმურაზ დოიაშვილის კრიტიკული მონოგრაფია „ორნი ერთ ნავში“, რომელშიც ნაჩვენებია, თუ როგორ ლიტერატურულ კუროზებამდე შეიძლება მიიყვანოს მკვლევარი თვითმიზნურმა ლტოლვამ ნოვაციებისაკენ და იმ დებულების უკუღმართად გამოყენებამ, რომ „ნაწარმოები მხოლოდ ინტერპრეტაციაში ცოცხლობს“.

* * *

თეიმურაზ დოიაშვილის სამეცნიერო საქმიანობაში ცენტრალური ადგილი ბოლო ოცწლეულში გალაკტიონოლოგიურ მიმართულებას ეთმობა.

გალაკტიონის ლირიკის შესწავლა თეიმურაზ დოიაშვილმა ჯერ კიდევ 1970-იანი წლებიდან დაიწყო. საკანდიდატო დისერტაციაში, რომელიც ლექსის ეფონიკის მიმართ (1973) და მოგვიანებით წიგნად გამოიცა, საანალიზო მასალა, ძირითადად, გალაკტიონის შემოქმედებიდან იყო შერჩეული.

ოდნავ მოგვიანებით, ოთხმოციანი წლებში, თეიმურაზ დოიაშვილი გალაკტიონის ვერსიფიკაციით ინტერესდება, კერძოდ, იკვლევს პოეტის ადრეულ შემოქმედებას, აკვირდება გ. ტაბიძის 1908-1914 წლების პოეტიკის სპეციფიკას – რიტმულ-მეტრული სტრუქტურის, რითმისა და სტროფიკის თავისებურებებს.

1990-იანი წლებიდან გალაკტიონის პოეზიის კვლევას სისტემური ხასიათი ეძლევა, იწერება სადოქტორო დისერტაცია „გალაკტიონ ტაბიძის სახეობრივი აზროვნება“ (1995), ხოლო 2001 წელს თეიმურაზ დოიაშვილის ინიციატივით შეიქმნა „გალაკტიონის კვლევის ცენტრი“, სადაც მისი ხელმძღვანელობით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა.

სწორედ „გალაკტიონის კვლევის ცენტრის“ დაფუძნებას უკავშირდება ვრცელი ინტერვიუ „ოცნება გალაკტიონოლოგიაზე“, რომლითაც იხსნება თეიმურაზ დოიაშვილის თხზულებათა მეორე, გალაკტიონოლოგიური ტომი. 2001 წელს მომზადებული ეს საპროგრამო, მრავალწახნაგოვანი ინტერვიუ მხოლოდ გალაკტიონის ოცნების რეალობად ქცევის მნიშვნელობაზე კი არ გვიქმნის ზუსტ წარმოდგენას, არამედ იგი ერთგვარი გზის მაჩვენებელია მკითხველისა თუ მომავალი გალაკტიონოლოგებისთვის. მეცნიერი აქ, ერთი მხრივ, გალაკტიონის ბიოგრაფიისა და შემოქმედების კვლევის ასპექტებსა და პერსპექტივებს გვაცნობს, ახალ კონცეფციებსა და თეორიულ მიდგომებზე გვესაუბრება, ხოლო, მეორე მხრივ, მასშტაბურ, გრძელვადიან გეგმებს მოხაზავს და პოეტთან დაკავშირებულ აქტუალურ და პრობლემურ კითხვებზეც გვცემს პასუხს.

გალაკტიონოლოგიური ტომის ძირითად ნაწილს წარმოადგენს განყოფილება „გავშლილი ძვირფასი ლექსების კონებს“, სადაც შეტანილი გამოკვლევები, სტატიები და ესეები გალაკტიონის შემოქმედებითი განვითარების მიხედვით არის განლაგებული და ოთხ ნაწილადაა დაყოფილი. მიუხედავად იმისა, რომ აქ სხვადასხვა დროს დაწერილი ნაშრომებია გაერთიანებული, „გავშლილი ძვირფასი ლექსების კონებს“ აღიქმება როგორც ერთიანი წიგნი, რომელსაც შესავალი, განვითარების საკუთარი დინამიკა და ეპილოგი აქვს.

უნდა ითქვას, რომ ამ განყოფილების პირველი და ბოლო მონაკვეთები – გალაკტიონის ადრეული და გვიანი პერიოდის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ნაშრომები – გალაკტიონოლოგიის მნიშვნელოვანი შენაძენია. ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში ათწლეულების განმავლობაში იყო დამკვიდრებული შეხედულება გალაკტიონის 1908-1914 წლების ლირიკის შეგირდული ხასიათის შესახებ. ამ წინასწარ შემუშავებული თვალსაზრისის გამო პოეტის ადრეულ ლირიკას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა, ხოლო რაც შეეხება გალაკტიონის ბოლო პერიოდის შემოქმედებას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდე გამონაკლისს, შეიძლება ითქვას, რომ იგი თითქმის შეუსწავლელი იყო.

ტომში შეტანილ პირველსავე ნაშრომში – „გზა „არტისტული ყვავილებისკენ“ პოეტის ადრეული ლირიკის დეტალური ანალიზის შედეგად ნაჩვენებია, რომ გალაკტიონი 1908-1914 წლებში სხვათა შეგირდი კი არა, გარკვეული მსოფლალქმისა და სტილის დასრულებული პოეტია; ხოლო თუ რა სიღრმეებს მოიცავს ჭაბუკი პოეტის მსოფლალქმა, ცხადყოფს გამოკვლევა „წიგნი – მთლიანობა“. გ. ტაბიძის პირველი კრებულისადმი (1914) მიძღვნილი ამ სტატიიდან უდავო ხდება, რომ ეს წიგნი – პოეტური მთლიანობის პრინციპით შექმნილი ტექსტი-მითი – უნიკალური მოვლენა იყო თავისი დროის ქართულ პოეზიაში და ახალგაზრდა ავტორს განახლების გლობალური პროცესის თანამონაწილედ და ლიდერად წარმოაჩენდა.

პოეტის ადრეული შემოქმედების მნიშვნელობასა და მასშტაბებზე კიდევ უფრო ზუსტი შთაბეჭდილება გვექმნება, როდესაც აღნიშნულ პერიოდში შექმნილი ნაწარმოებების შესახებ დაწერილ გამოკვლევებს ვეცნობით. 1908-1914 წლების იმ ტექსტთაგან, რომელთაც ტომში ცალკე სტატია ეძღვნება, ერთ-ერთია „მე და ღამე“ – ისტორიულად გამორჩეული ლექსი, ახალგაზრდა პოეტს საყოველთაო აღიარება რომ მოუტანა. ამ ლექსის თ. დოიაშვილისეულ ანალიზში, სადაც ყურადღების მიღმა არ არის დატოვებული პოეტური ტექსტის არცერთი დეტალი, ბევრ სხვა, დღემდე ბუნდოვან საკითხთან ერთად ახსნილია „მე და ღამეში“ ნახსენები „საიდუმლოს“ რაობაც, რომლის მნიშვნელობა უკვე ათწლეულებია მკითხველთა და მკვლევართა დაუცხრომელ ინტერესს იწვევს. ფართო ლიტერატურულ-ესთეტიკური კონტექსტისა და გალაკტიონის სახეობრივი აზროვნების გათვალისწინებით მკვლევარი მიდის დასკვნამდე, რომ „მე და ღამის“ საიდუმლო მისტიკურ გრძნობას გულისხმობს – გალაკტიონი ამ ლექსში პოეტურ პერფორმანსს გვიწყობს, რათა „მე და ღამის“ კითხვისას სახე-სიმბოლოებით, ირიბი მინიშნებით უშუალოდ ვიგრძნოთ იდუმალების არაქაური სუნთქვა.

„საიდუმლოს“ ამგვარი ახსნა თავისთავად აჩენს აუცილებლობას განი-
მარტოს, რა წარმომავლობისაა მისტიკური გრძნობა გალაკტიონის პოეზიაში:
ლიტერატურულ-მწიგნობრული გავლენის შედეგია, თუ რეალური განცდა,
მსოფლმხედველობრივი ღირებულების ფაქტი?

მკვლევარს მოაქვს სათანადო არგუმენტები, რომლებიც გვარწმუნებს,
რომ „მე და ღამეში“ მოქცეული ამადლეგებელი, უნიკალური სულიერი განცდა
მისტიკურის შეგრძნებით მიღებული პიროვნულ-რეალური შთაბეჭდილებაა.
ეს დასკვნა, თავის მხრივ, იძლევა საშუალებას ითქვას, რომ გალაკტიონის სიმ-
ბოლისტური ლირიკა „მწიგნობრული რეცეპტებით“ კი არ იქმნებოდა, ავტო-
რის უნიკალური, „ზეგრძნობადი“ ფსიქოლოგიური განცდების ნაყოფი იყო.

გალაკტიონის ადრეული შემოქმედების შესახებ ტრადიციულ წარმოდ-
გენას აბსოლუტურად ცვლის ვრცელი ნაშრომი „ბალადა ქართველ კლეო-
პატრაზე“. პოეტის ნაკლებად ცნობილი ტექსტის – „თასის“ ფართო ინტერ-
ტექსტობრივი არეალის გაცნობა და მისი ავტორის კადნიერი ინტენციის
შთამბეჭდავი ანალიზი საბოლოოდ გვარწმუნებს, რომ გალაკტიონის ადრე-
ული ლირიკა ეროვნულ და უცხოურ პოეტურ ტრადიციებთან ურთიერთობის
გარკვევის ის ურთულესი ეტაპია, რომელმაც გალაკტიონი საბოლოოდ უნი-
ვერსალურ ევროკულტურულ ძიებათა მაგისტრალზე გაიყვანა.

უკვე ითქვა, რომ თეიმურაზ დოიაშვილის თხზულებათა გალაკტი-
ონოლოგიური ტომის ერთი მონაკვეთი პოეტის ბოლო პერიოდის შემოქ-
მედებას – გალაკტიონის მეორე პოეტურ რეფორმას ეძღვნება. სტატიაში „ახალ
სიტყვაში მყოფი სამყარო“ გაანალიზებულია 1930-50-იანი წლების ტენდენ-
ციები და ნაჩვენებია პოეზიის ახალი ფორმა-შინაარსის ძიების ის ხანგრ-
ძლივი პროცესი, რაც გალაკტიონის მიერ თვისებრივად განსხვავებული
მხატვრული სისტემის შექმნით დაგვირგვინდა. ვფიქრობთ, ეს პროსპექტის
ტიპის ნაშრომი სანდო დასაყრდენი იქნება თითოეული მკვლევარისთვის,
ვინც გალაკტიონის შემოქმედებითი ევოლუციის შესწავლას გადაწყვეტს.

ზემოთ ნახსენებ ინტერვიუში – „ოცნება გალაკტიონოლოგიაზე“ ნათ-
ქვამია, რომ გალაკტიონოლოგიის უმთავრეს ამოცანათაგან ერთ-ერთი პო-
ეტის შემოქმედების გლობალურ კონტექსტში გააზრება და მისი ნაწარმო-
ებების ანალიზია უცხოური ინტერტექსტების გათვალისწინებით. გალაკტიო-
ნოლოგიაში ამგვარი ტიპის ფუნდამენტური კვლევები, ძირითადად, თეიმურ-
აზ დოიაშვილის სახელს უკავშირდება. მართალია, ძიებანი ამ მხრივ ადრეც
არსებობდა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ თ. დოიაშვილის გამოკვლევებში
გალაკტიონის შემოქმედების გლობალურ ლიტერატურულ-კულტურულ სივ-
რცეში გააზრებამ განსხვავებული, უფრო მიზანმიმართული ხასიათი და
მასშტაბები შეიძინა.

ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, საეტაპოდ უნდა ჩაითვალოს „არტისტული ყვავილების“ პროლოგი“, რომელიც გალაკტიონის 1919 წელს გამოქვეყნებული მოდერნისტული კრებულის პირველი ლექსის – „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“ ანალიზს წარმოადგენს.

გამოკვლევაში დადგენილია გალაკტიონის დასავლურ კულტურაზე ორიენტირებული წიგნის – „არტისტული ყვავილების“ ტიპოლოგიური და გენეტიკური კავშირები ბოდლერის, გოტიესა და გოეთეს უმნიშვნელოვანეს კრებულებთან – „ბოროტების ყვავილები“, „მინანქრები და კამეები“, „დასავლურ-აღმოსავლური დივანი“, რომელთაც ნოვატორული როლი შეასრულეს ევროპული ლირიკის ისტორიაში. მკვლევარის მიერ მიგნებული პარალელებით შემოწერილია გრანდიოზული კონტექსტური სივრცე, გაერთიანებული ახალი მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკური მრწამსით. სწორედ ამ პარალელებისა და ფართო ლიტერატურული კონტექსტის გათვალისწინებით გამოკვეთს ავტორი „არტისტული ყვავილების“ უმნიშვნელოვანეს როლს. მისი აზრით, როგორც გოეთე და გოტიე იწყებდნენ თავ-თავის ეპოქაში ახალ ხანას, ასევე ახალ ხანას იწყებს გალაკტიონი ქართულ პოეზიაში თავისი ეპოქალური წიგნით.

„არტისტული ყვავილების“ პირველი ლექსის – „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“ – აზრობრივ-კონცეფციური სიახლოვე გოტიეს „მინანქრებისა და კამეების“ წინათქმასთან და ამის მეშვეობით გოეთეს „დივანის“ პროლოგთან – „ჰიჯრა“, აგრეთვე რიგი კონკრეტული რეალიებისა, მკვლევრის აზრით, ქმნის იმის საფუძველს, რომ გალაკტიონის ეს ლირიკული შედევრი „არტისტული ყვავილების“, როგორც მთლიანი წიგნის, პროლოგად მივიჩნიოთ.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ ლექსის, როგორც კრებულის პროლოგის გააზრებამ და, შესაბამისად, წიგნის ერთ მთლიანობად წარმოჩენამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შემდგომი წლების გალაკტიონოლოგიურ კვლევებზე – ამ კონცეფციაზე დაყრდნობით დაიწერა და დაიბეჭდა არაერთი სამეცნიერო სტატია.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თეიმურაზ დოიაშვილი მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში იკვლევს არამხოლოდ გალაკტიონის სიმბოლისტური პერიოდის შემოქმედებას, რომელიც მეტ საშუალებას იძლევა პარალელების გასავლებად, არამედ პოეტის სხვა, უფრო გვიანდელი ხანის ნაწარმოებებსაც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა 1946 წელს გამოქვეყნებული შედევრის – „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ ანალიზი – წერილი „ფრთები და დიადემა“, სადაც მკვლევარი გალაკტიონის ლექსს ჟანრობრივად თე-

ოფილ გოტიეს ეკვრასისებთან აკავშირებს, ხოლო ტიპოლოგიურად – ფრანგული გოტიკის ბუნებასა და სტილთან.

გამოკვლევაში დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ ორპლანიანი ლექსია – მასში ერთდროულად ორი შინაარსობრივი პლასტია: ხილვადი – ულამაზესი ჩუქურთმებით შემკული ხუროთმოძღვრული ძეგლი და უხილავი – „შუქურთმებით“ ნაგები, ხელთუქმნელი პოეზია გალაკტიონისა; ისტორიული ტაძარი გარე-სახეა გამოსახვის ეგზისტენციური საგნისა – „შინა-ტაძრისა, რომელსაც შეფარულად მიემართება აღწერა“.

„ნიკორწმინდას“ გალაკტიონის პოეტურ ანდერძად გააზრება და, ზოგადად, ლექსის მრავალწახნაგოვანი ინტერტექსტური ანალიზი სრულიად ახლებურად წარმოაჩენს არამხოლოდ ერთი კონკრეტული ნაწარმოების სათქმელს, არამედ – გალაკტიონის ბოლო პერიოდის შემოქმედებასაც.

მკვლევარი ევროპული ლიტერატურის კონტექსტში გაიაზრებს და აანალიზებს გალაკტიონის ცნობილ ლექსებს: „მამული“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „მზეო თიბათვისა“... უნდა ითქვას, რომ თეიმურაზ დოიაშვილის ამ და სხვა ლექსებისადმი მიძღვნილ გალაკტიონოლოგიურ სტატიებში მოხმობილი პარალელები მხოლოდ გალაკტიონის ჩანაფიქრის მასშტაბურობაზე კი არ გვიქმნის წარმოდგენას, ან იმ კონტექსტზე, რომელსაც იცნობდა და რომელშიც მოიაზრებდა პოეტი საკუთარ ქმნილებებს, არამედ – მკვლევარი გვთავაზობს ლექსის ანალიზის შთამბეჭდავ ნიმუშებს, იმის მაგალითებს, თუ როგორ უნდა ხდებოდეს გალაკტიონის პოეტური ტექსტის კვლევა. პარალელების მოძიება, როგორც ხშირად ხდება, მისთვის თვითმიზანი კი არაა, მხოლოდ ხელსაყრელი შესაძლებლობაა პოეტის იდეალური სათქმელის ამოკითხვისა, გაცხადებისა.

გალაკტიონოლოგიურ ტომში შეტანილი სტატიების ერთი ნაწილი პოეტის შემოქმედებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს, თუმცა აქამდე ნაკლებად შესწავლილ ან სულაც უცნობ საკითხებს ეძღვნება. აქ უპირველესად უნდა დავასახელოთ ნაშრომი „გალაკტიონი და სიმბოლიზმი“, სადაც თანამიმდევრულად, პოეტის ჩანაწერებისა და ლექსების განხილვის საფუძველზე ნაჩვენებია გალაკტიონის მიმართება XX საუკუნის უმთავრეს მოდერნისტულ მიმდინარეობასთან და მის კორიფეებთან.

პრობლემის განხილვისას ავტორი ორი ასპექტით წარმართავს ძიებას: ერთი მხრივ, იგი პოეტის ათიანი წლების ლირიკაში განფენილ ცნობიერების შინაარსს ადარებს სიმბოლისტურ ცნობიერებასთან, მეორე მხრივ კი – გალაკტიონის „ახალი პოეტიკის“ ძირითად პრინციპებს განხილავს სიმბოლისტური ესთეტიკისა და პოეტიკის შუქზე. ამგვარი კვლევის შედეგად

თეიმურაზ დოიაშვილი გვთავაზობს პოზიტიურ დასკვნას, რომ გალაკტიონ ტაბიძის კონტაქტი მოდერნისტულ პოეზიასთან და, კერძოდ, სიმბოლიზმთან, ახალ ესთეტიკურ ფასეულობათა შექმნით გასრულდა, რის შედეგადაც ეპიგონიზმის ჩიხში შესული ქართული პოეზია ევროპულ პოეტურ ძიებათა მონაწილე გახდა.

თუ გალაკტიონის სიმბოლიზმთან მიმართების თაობაზე ურთიერთ-საპირისპირო, იდეოლოგიზებული ან სულაც იმპრესიონისტული მოსაზრებები მაინც იყო გამოთქმული, პოეტის 20-იანი წლების – პოსტსიმბოლისტური შემოქმედება, შეიძლება ითქვას, მკვლევართა ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი. ამის გათვალისწინებით, განსაკუთრებული ღირებულება აქვს თეიმურაზ დოიაშვილის სტატიას „პოსტსიმბოლისტური ძიებანი: ცხოვრების წრიდან – ეფემერებში“, სადაც არაერთი ლექსის ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ ოციანი წლების დასაწყისში, ურთულეს პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ვითარებაში, გალაკტიონი თავგამოდებით იბრძოდა შემოქმედებითი თავისუფლებისათვის, პოეტური კულტურის გადარჩენისათვის. სწორედ ამ პერიოდში შექმნა მან, მოდერნისტულ ტრადიციასთან კავშირის გაუწყვეტლად, ახალი მგრძნობელობითა და ფორმის ნოვატორობით ალბეჟილი არაერთი პოეტური შედეგრი.

გალაკტიონოლოგიურ ლიტერატურაში, კლასიკური მემკვიდრეობის საკითხს რომ ეხება, შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი თემა „გალაკტიონი და ილია“. ამ კუთხით საყურადღებოა თეიმურაზ დოიაშვილის გამოკვლევები „ილიას სიმღერა“, „ილია, ლელთ ღუნია და გალაკტიონი“, აგრეთვე ესეი „ეს არ არის საქართველო!“. მკვლევარი ნაირგვარი ფაქტების შეჯერებით გვიჩვენებს, რომ გალაკტიონის კონკრეტული ნაწარმოებების ჩანაფიქრი მთელი სისავსითა და სიღრმით მხოლოდ და მხოლოდ ილიას ტექსტებთან მიმართებით იკითხება.

განყოფილებაში „გავშლი ძვირფასი ლექსების კონებს“ ოცდაექვსი წერილია გაერთიანებული. თითოეულ მათგანში გალაკტიონის ბიოგრაფიასთან ან შემოქმედებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია გადაწყვეტილი. მაგალითად, სტატიაში „ლირიკული ტექსტი და ისტორიის კონტექსტი“ პოპულარული ლექსის – „სადღეგრძელო იყოს მისი“ უცნობი რედაქციის შესწავლის შედეგად წარმოჩენილია გალაკტიონის ეროვნული პოზიცია საქართველოს ოკუპაციის დღეებში; „დრამა ბინაში ანუ ფსევდოლეგენდის წინააღმდეგ“ გალაკტიონისა და ოლია ოკუპაციას დრამატული ურთიერთობის რეალურ, შეუღამაზებელ ისტორიას გვაცნობს; სტატიაში „ინტეგრალი თუ ინტერვალი“ დადგენილია გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში დადასტურებული ორი ფუნდამენტური ესთეტიკური ცნებიდან

რომელი უნდა იკითხებოდეს ლექსში „ეფემერა“ („ცხენთა შეჯიბრებაზე“), ხოლო „ირმიგალში“ პოეტის ოციანი წლების ერთ ტექსტში („აივანზე“) გამოყენებული ენიგმატური ლექსემის შინაარსია ამოხსნილი და, რაც უფრო არსებითია, გარკვეულია, რომ გალაკტიონს უცდია დაეარსებინა ლიტერატურული ჯგუფი, რომლის არსებობის შესახებ დღემდე არაფერი ვიცოდით.

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ თეიმურაზ დოიაშვილის თითოეულ სტატიაში მკითხველს ერთი ან რამდენიმე გალაკტიონოლოგიური აღმოჩენა ელოდება. შეიძლება, ეს აღმოჩენები სხვადასხვა მასშტაბის იყოს, მაგრამ ყოველი მათგანი ისეთი თვისებისაა, რომ სამომავლოდ ვერცერთი გალაკტიონოლოგი გვერდს ვერ აუვლის.

გალაკტიონოლოგიური ტომის მეორე ნაწილი რეცენზიებსა და პოლემიკურ წერილებს ეთმობა, რომელთაგან ზოგიერთი დაწერილია კრიტიკოს ლევან ბრეგაძის თანაავტორობით. აქ მკითხველი გაეცნობა მიხეილ კვესელავას, ვახტანგ ჯავახიძის, ნოდარ ტაბიძის, როლანდ ბურჭულაძის და სხვა ავტორთა წიგნებზე დაწერილ რეცენზიებს. აღსანიშნავია, რომ ეს რეცენზიები მხოლოდ კონკრეტული ნაშრომების შეფასებას არ წარმოადგენს, რადგან თეიმურაზ დოიაშვილი, შეფასების პარალელურად, გალაკტიონის შემოქმედებასთან დაკავშირებულ ამა თუ იმ საკითხზე საინტერესო ლიტერატურულ-თეორიულ ექსკურსს გვთავაზობს. იგივე შეიძლება ითქვას პოლემიკური წერილების შესახებაც. სწორედ ამ მიზეზის გამო ეს პუბლიკაციები სანდო და საყურადღებო ორიენტირს წარმოადგენს იმ მკვლევართათვის, ვინც გალაკტიონის შემოქმედების საფუძვლიან შესწავლას გადაწყვეტს.

* * *

თეიმურაზ დოიაშვილი ვიწრო სპეციალობით ლექსმცოდნეა, ამიტომ, ბუნებრივი იყო, რომ მისი ლიტერატურული დებიუტი ვერსიფიკაციული კვლევების სფეროში შედგა. თავის პირველ წერილში „სერგი გორგაძე და ქართული ვერსიფიკაციის საკითხები“ მან გამოთქვა ორიგინალური აზრი, რომ ქართული ლექსის გამოჩენილი მკვლევარი, რომელიც ე.წ. დოგმატიკური სკოლის მიმდევრად ითვლებოდა, ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად, რეალური რიტმის მოვლენებისადმი ინტერესს ამჟღავნებდა.

შემდგომ წლებში თეიმურაზ დოიაშვილმა გამოაქვეყნა არაერთი ნაშრომი თეიმურაზ პირველის, არჩილის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის ლექსთწყობის საკითხებზე.

აღორძინების ხანის პოეტების – თეიმურაზ პირველისა და არჩილის ვერსიფიკაციის შესწავლისას, მათი მეტრულ-რიტმული რეპერტუარისა და

რიტმის პარამეტრების აღწერის პარალელურად, მკვლევარმა შეამჩნია ეროვნული სალექსო კულტურის დეკადანსის აშკარა ნიშნები. ამ ფონზე უფრო თვალნათლივ გამოიკვეთა თეიმურაზ პირველის პრიორიტეტი ეპოქის სხვა პოეტებთან მიმართებით, გაცხადდა, რატომ ერგო მეფე-პოეტს რუსთაველთან შედარების დიდი პატივი.

ყურადღების ღირსია აგრეთვე დავით გურამიშვილის რითმაზე დაკვირვებანი, სადაც სწორად არის შენიშნული გურამიშვილის მიზანმიმართული სწრაფვა სარიტმო სიტყვათა სრული შეთანხმებისაკენ. ბგერითი თანხმიერება პოეტის რითმებში ხშირად კლაუზულის ფარგლებს სცილდება და მთლიან სიტყვებზე ვრცელდება.

ალბათ, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ თეიმურაზ დოიაშვილის ვერსიფიკაციულ კვლევებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის ლექსთწყობისადმი მიძღვნილი ნარკვევები.

ბარათაშვილის ლექსი და პოეტიკა საკმაოდ კარგადაა შესწავლილი ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. თეიმურაზ დოიაშვილის ნაშრომის ღირსება ისაა, რომ აქ მეტი სინათლე მოეფინა იმ პარადოქსს, თუ როგორ გახდა ბარათაშვილი, ვისაც ერთი ახალი საზომიც კი არ შემოუტანია ჩვენს პოეზიაში, ქართული ლექსისა და პოეტური აზროვნების დიდი რეფორმატორი.

ილია ჭავჭავაძის შესახებ დაწერილ გამოკვლევაში ნაჩვენებია ის გზა, რომელიც პოეტმა გაიარა პირველი ბავშვური ცდებიდან მის საქვეყნოდ ცნობილ ლექსებამდე და პოემებამდე.

თეიმურაზ დოიაშვილი ობიექტურად საუბრობს იმ უცნაურ პოლემიკაზე, რომელიც ილიას პოეზიას დებიუტიდანვე თან დაჰყვა და მის „პოეტობას“ ეხებოდა. ილიას მხატვრული ტექსტების მეტრულ-რიტმული სტრუქტურის დაკვირვებული ანალიზის საფუძველზე მკვლევარი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პოეტი ყოველთვის ზედმიწევნით იცავდა ლექსთწყობის კანონებს, ხოლო მეტრიდან გადახვევანი ანუ საზომთა შერევა, – უმეტესად, შაირში, – ხალხურ პოეზიაზე შეგნებული ორიენტაციის შედეგია. მეტიც, აღმოჩნდა, რომ თურმე ის, რაც აბსტრაქტული ვერსიფიკაციული ნორმის თვალსაწიერიდან, ტრადიციულად, ნაკლად აღიქმებოდა, ლექსის კონკრეტულ შინაარსთან მიმართებით განსაკუთრებულ გამომსახველობით ფუნქციას ატარებდა. ამას გვიდასტურებს არაერთი შთამბეჭდავი საილუსტრაციო მაგალითი როგორც ლექსებიდან, ისე პოემებიდან.

ლექსმცოდნეობის ტომში შესულია ორი მონოგრაფია – „ლექსის ევფონია“ (1973) და „Enjembement“ (1993). მათგან პირველში შესწავლის საგანია ლექსის ბგერითი ორგანიზაციის სპეციფიკა XX საუკუნის ქართული პოეზიის

მაგალითზე, ხოლო მეორეში – სალექსო სტრუქტურის ისეთი გამორჩეული მოვლენა, როგორცაა ანჟამბემანი ანუ გადატანა.

ევფონიის კვლევისას არსებითი ის არის, რომ ბგერითი სტრუქტურა მკვლევარის მიერ გაანალიზებულია არა იზოლირებულად, არამედ სალექსო სისტემების სხვა ელემენტებთან მიმართებაში, რაც ააშკარავებს ევფონიის პოლიფუნქციურ ბუნებას. საკვლევი საკითხისადმი ნოვატორული მიდგომითა და სიახლით გამოირჩევა მონოგრაფიის ისეთი ნაწილები, როგორებიცაა „ევფონია და პოეტური სიტუაცია“, „ევფონია და შთაბეჭდილების ერთიანობა“, „ევფონია და ჰიპერსემანტიკა“.

მონოგრაფიის ბოლო, შემაჯამებელ თავში – „ევფონია და მწერლის შემოქმედებითი პოზიცია“ ნაჩვენებია პოეტის მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკური კრედოს მნიშვნელობა ბგერითი ორგანიზაციისათვის. მრავალფეროვანი მასალის დამოწმებით, ოთხი ლიტერატურული მიმდინარეობის – რომანტიზმის, სიმბოლიზმის, ფუტურისმისა და რეალიზმის მაგალითზე აქ გამოკვეთილია ევფონიისადმი მიდგომის პრინციპები და ბგერათა ფუნქციური გამოყენების თავისებურებანი თითოეული მათგანისათვის.

მეორე მონოგრაფიაში „Enjembement“ გადატანის მეტრულ-სინტაქსური ფიგურა წარმოდგენილია ისტორიულ, თეორიულ და ფუნქციურ ასპექტებში. აქ უტყუარად არის დადასტურებული ანჟამბემანის არსებობა ძველ ქართულ პოეზიაში, რაც ადრე კატეგორიულად იყო უარყოფილი; თეორიული ღირებულება აქვს ავტორის თვალსაზრისს, რომ ანჟამბემანის არსებობისთვის სტრიქონიდან სტრიქონზე გადასვლასთან ერთად აუცილებელია შიდაპაუზაც; დაბოლოს, ვრცლად არის ნაჩვენები ანჟამბემანის, როგორც მხატვრული ხერხის, აქამდე დაფარული არაერთი აზრობრივ-სტილური შესაძლებლობა.

ქართული ლექსის ისტორიისა და თეორიის რიგი საკვანძო საკითხების საფუძვლიანი განხილვაა მოცემული თეიმურაზ დოიაშვილის ორ რეცენზიაში – „ჰიპოთეზიდან თეორიამდე“ და „პროცესი-სისტემა-ნორმა“, რომლებიც ცნობილი მეცნიერის – აპოლონ სილაგამის საეტაპო წიგნებს ეძღვნება ლექსმცოდნეობაში.

მესამე ტომს დამატების სახით ერთვის გასული საუკუნის 70-იანი წლებისთვის აქტუალური საინფორმაციო-ანალიტიკური წერილი სტრუქტურალიზმი: Pro et contra“, რომელიც ამ მნიშვნელოვან მიმდინარეობასთან მიახლოების ერთ-ერთი პირველი ცდა იყო ქართულ სინამდვილეში.

თეიმურაზ დოიაშვილის ვერსიფიკაციული გამოკვლევები ორმოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში იწერებოდა. დრომ ზოგი რამ შეცვალა, თუმცა დარჩა წყება დაკვირვებებისა, რომლებიც დღესაც ინარჩუნებენ და არ კარგავენ სამეცნიერო ღირებულებას.

განსაკუთრებულია თეიმურაზ დოიაშვილის წვლილი ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში. იგი მეცნიერებიდან მივიდა ამ სფეროში და საკუთარი მაგალითით ნათელიყო, თუ რაოდენ აუცილებელია კრიტიკოსისათვის საფუძვლიანი თეორიული მომზადება, რათა თავისი საქმის პროფესიონალად ჩამოყალიბდეს. თხზულებათა მეოთხე ტომში ავტორის ის წერილებია თავმოყრილი, რომლებიც მიმდინარე ლიტერატურული პროცესების ანალიზს ისახავს მიზნად.

70-იანი წლების დასაწყისში კრიტიკის სფეროში, მიუხედავად იმისა, რომ ამ დარგში რამდენიმე თვალსაჩინო ავტორი მუშაობდა, მაინც შეიმჩნეოდა კრიზისის ნიშნები. ერთი მხრივ, არსებობას განაგრძობდა და საკმაოდ ძლიერიც იყო საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის ინერცია, რაც გამოიხატებოდა იმით, რომ მხატვრული ტექსტი განიხილებოდა, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების გამოვლენის ერთ-ერთი ფორმა, ლიტერატურაზე საუბარი კი სოციოლოგიური კატეგორიებით მიმდინარეობდა. კრიტიკული აზროვნების მეორე ნაკადს ქმნიდა იმპრესიონისტული, ესეისტური კრიტიკა, რომელიც ლიტერატურული ნაწარმოების განხილვისას, ძირითადად, არ სცდებოდა პირად შთაბეჭდილებათა ფიქსაციას და „ლამაზი სიტყვებით“ ცდილობდა მსჯელობის ზედაპირულობის შენიღბვას.

აღნიშნული პერიოდის კრიტიკის საერთო მახასიათებელი იყო მხატვრული ტექსტის კონკრეტული ანალიზის უნარის ნაკლებობა, ასევე, გულგრილობა ნაწარმოების მხატვრული ფორმის, სტილისადმი. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ თეორიული ცოდნის სიმწირე კრიტიკოსებს შესაძლებლობას არ აძლევდა ამ რიგის საკითხებზე მსჯელობისათვის.

ამ ფონზე ყურადღებას იქცევდა თეიმურაზ დოიაშვილის არგუმენტირებული, ანალიტიკური წერილები. „რა ნიშნებითაც არ უნდა დახასიათდეს კრიტიკის რაობა, იგი, უპირველეს ყოვლისა, ანალიზის ხელოვნებაა“, – ასეთი იყო ავტორის მრწამსი, რომელსაც იგი პრაქტიკულად ასხამდა ხორცს თავის სტატიებში. ამასთანავე, თეიმურაზ დოიაშვილი იმ იშვიათ კრიტიკოსთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც ლიტერატურული ფაქტი, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებდათ, როგორც ესთეტიკური ფენომენი, ფორმა-შინაარსის ერთიანობა.

თეიმურაზ დოიაშვილის, როგორც კრიტიკოსის, ინტერესის სფეროში მოქცეულია თანამედროვე ქართული პოეზიის უმთავრეს წარმომადგენელთა შემოქმედება. თხზულებათა მეოთხე ტომში დაბეჭდილ წერილებში გაანალიზებულია უკანასკნელი ორმოცდაათწლეულის თვალსაჩინო პოეტების – მუხრან მაჭავარიანის, მურმან ლებანიძის, შოთა ნიშნიანიძის, ოთარ ჭილაძის,

ვახტანგ ჯავახაძის, გივი გეგეჭკორის, ჯანსუღ ჩარკვიანის, ემზარ კვიციანიშვილის, ბესიკ ხარანაულის, ლია სტურუას, იზა ორჯონიკიძის, ჯარჯი ფხოველის, მამუკა წიკლაურის და სხვათა მსოფლადქმისა და პოეტური სტილის საკვანძო ასპექტები.

კრიტიკოსის ყურადღების მიღმა არ რჩება თანამედროვე ქართული პროზაც, კერძოდ, – რევაზ ინანიშვილის, თამაზ ბიბილურის, ნუგზარ შატაიძის, გოდერძი ჩოხელის შემოქმედება.

ეს წერილები გამოკვლევის დონეზე შესრულებული ნაშრომებია, რომელთაც შეიძლება ენდონ და დაეყრდნონ დასახელებულ ავტორთა შემოქმედების შესწავლის მსურველნი. მათი უმთავრესი ღირსება იმითაა განსაზღვრული, რომ კრიტიკოსი ახერხებს, წარმოაჩინოს ამა თუ იმ მწერლის მხატვრული აზროვნების არსებითი, სხვათაგან განმასხვავებელი ნიშნები, რაც კრიტიკოსს უპირველესი ამოცანაა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თეიმურაზ დოიაშვილი იზოლირებულად კი არ განიხილავს ამ ავტორთა ცალკეულ ნაწარმოებსა თუ მთლიან შემოქმედებას, არამედ – მიმდინარე ლიტერატურული პროცესისა და, ზოგადად, ლიტერატურის ისტორიის კონტექსტში. ერთი სიტყვით, წერილებში იმთავითვე ვლინდება ლიტერატურის თეორეტიკოსის, სისტემატიკოსის თვალთახედვა. თეიმურაზ დოიაშვილისათვის ამოსავალია ისტორიზმის პრინციპის დაცვა, რაც მისეულ შეფასებათა სისწორისა და თანამიმდევრულობის გარანტიაა.

დასახელებული წერილების გაცნობისას თვალსაჩინოა ავტორის არამარტო მაღალი პროფესიონალიზმი, არამედ, გარკვეული აზრით, მოქალაქეობრივი გამბედაობაც – აღიარებულ, გავლენიან ავტორთა გაკრიტიკება კრიტიკოსისათვის უამრავი უსიამოვნების წყაროდ შეიძლება ქცეულიყო და იქცა კიდევ. თუმცა, როგორც თავად თეიმურაზ დოიაშვილი გვიმხელს, მას კრიტიკოსის ერთ აუცილებელ თვისებად ზნეობრივი უკომპრომისობა მიაჩნდა: „კრიტიკოსობა ურთულესი პროფესიაა, რომელიც მოითხოვს სრულიად განსაკუთრებულ სულიერ წყობას, ჭეშმარიტების ფანატიკურ სიყვარულს და უკომპრომისობას“, – წერდა იგი.

მეოთხე ტომში წარმოდგენილ წერილთაგან საგანგებოდაა გამოსაყოფი ნაშრომი „ქარი არა სჩანს“, რომელშიც გაანალიზებულია 70-იანი წლების ქართული პოეზიის ძირითადი თემატური და სტილური ნაკადები, გამოვლენილია ის სირთულეები, რომელთა დაძლევის გარეშეც შეუძლებელი იყო იმ პერიოდის პოეტური აზროვნების განახლება.

ამავე ტიპის ნაშრომია „აგევსოთ – რაც ხარვეზია“, რომელშიც ახალგაზრდა ავტორთა მხატვრული პროდუქციის კონკრეტული ანალიზის გზითაა წარმოჩენილი ქართული პოეზიის წინაშე მდგარი პრობლემები – პოეტური

აზროვნების ტრაფარეტულობა, აბსტრაქტულობისაკენ მიდრეკილება, სიტყვისა და აზრის გათიშვა, საგანთა მიმართებების შეცვლა სიტყვათა მიმართებებით და სხვ. უახლესი ქართული პოეზიის ისტორიკოსისათვის უდავოა ამ წერილების მნიშვნელობა.

თეიმურაზ დოიაშვილი არამხოლოდ პრაქტიკოსი კრიტიკოსია, არამედ ზოგადად დაინტერესებული ლიტერატურის ამ დარგის წინაშე მდგარი გამოწვევებითა და ამოცანებით. მეოთხე ტომის ბოლო ნაწილში დაბეჭდილია ავტორის ინტერვიუები და პასუხები ლიტერატურულ ანკეტებზე, რომლებშიც გამოთქმულია საყურადღებო მოსაზრებები მიმდინარე ლიტერატურული პროცესის, ქართული კრიტიკისა და თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების წინაშე მდგარ პრობლემებზე.

* * *

თეიმურაზ დოიაშვილის თხზულებათა ბოლო, მეხუთე ტომი იხსნება წიგნით „გალაკტიონი უცენზუროდ“. რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, რომ გენიალური პოეტის შესახებ დაწერილი 150 უჩვეულო ამბავი გალაკტიონოლოგიის სპეციალურ ტომში კი არ შევიდა, არამედ – იმ ტექსტებთან ერთად დაიბეჭდა, რომლებსაც თავად ავტორი სახალისო ლიტერატურათმცოდნეობას უწოდებს და მიაკუთვნებს.

გალაკტიონის შესახებ მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან დღემდე ათეულობით წიგნი დაიწერა და გამოქვეყნდა. „გალაკტიონი უცენზუროდ“ მათგან გამოირჩევა, უპირველესად, იმით, რომ ამ წიგნის იდეის ავტორი თავად გალაკტიონია, რომელსაც სურდა ერთად შეეკრიბა თავისი ეპიგრამები – ცენზურაგაუვლელი ლექსები. გარდა ამისა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, „გალაკტიონი უცენზუროდ“ მკითხველს აცნობს არა ზეციურ, პარნასზე მდგომ გენიოსს, არამედ – გალაკტიონის მიწიერი ცხოვრების ადამიანურ მხარეებს, მის ყოფას, დამოკიდებულებას დროსთან, ეპოქასთან, კოლეგა-მწერლებთან თუ ოჯახის წევრებთან, ნაცნობებთან თუ სრულიად უცნობებთან.

წიგნი მთლიანად დოკუმენტურ მასალას ეყრდნობა, ძირითადად, პოეტის ეპიგრამებს, მის საარქივო ჩანაწერებს, ასევე – სანდო მოგონებებს გალაკტიონის შესახებ. აღსანიშნავია, რომ გალაკტიონის ეპიგრამების ტექსტები და სხვადასხვა ტიპის სახუმარო ჩანაწერები ყოფით თუ ისტორიულ კონტექსტშია მოქცეული და მიცემული აქვს თხრობით-ბელეტრიზებული ფორმა. ეს ამბები საჭირო ფონს, აუცილებელ ინფორმაციულ კონტექსტს ქმნის ეპიგრამების, მახვილსიტყვაობისა თუ არაორდინარული პერსონაჟის უცნაური ქცევის აღსაქმელად.

„გალაკტიონი უცენზუროდ“ პოეტის იუმორს, ირონიას და სატირასაც გვაზიარებს. მართალია, მოთხრობილი ამბების უმრავლესობა სახალისოა, მაგრამ ამ სახალისო ისტორიების გაცნობისას არ გვტოვებს ფიქრი იმის შესახებ, თუ ყოფიერების რა იმპულსები, არსებობის რა სურათები ილანდება უცენზურო თუ ცენზურაგაუვლელი ლექსებისა და ცხოვრების ეპიზოდების მიღმა.

წიგნს დამატების სახით ერთვის პოეტის მიერ სხვადასხვა დროს შეკრებილი თავშესაქცევი ამბები, დიალოგები და ანეკდოტები.

თხზულებათა მეხუთე ტომში ასევე წარმოდგენილია ავტორის კრიტიკული მონოგრაფია „ანდერძი ტარიელისა. ჭანტუროლოგიური შტუდიები“ და ორი პამფლეტი: „იუდასავით გამცემია ხანდახან რითმა“, „და შენს წინაშე ვდგავარ ტიტველი“.

თანამედროვე ქართულ მწერლობაში შექმნილი კრიზისული ვითარება, სენად ქცეული მიდრეკილება უხამსობისა და ეპატაჟისაკენ დიდწილად განსაზღვრა უფროსი თაობის რამდენიმე მწერლის შემოქმედებითა და მორალურმა უპასუხისმგებლობამ. მათ დაივიწყეს მარტივი ჭეშმარიტება – „სასაცილოა, ბერიკაცი რომ ყმაწვილობდეს“ და სკაბრეზისადმი მოჭარბებული ინტერესით, შემოქმედებითი თავისუფლების ვულგარული გაგებით ცუდი მაგალითი მისცეს ახალგაზრდა ავტორებს.

ტარიელ ჭანტურიასადმი მიძღვნილ მონოგრაფია-პამფლეტში „ანდერძი ტარიელისა“ შეულამაზებლად დახატული ფსიქოლოგიური, მოქალაქეობრივი და ლიტერატურული პორტრეტი უკიდევანო ამბიციების მქონე, დისიდენტობაზე მეოცნებე, კონფორმისტი და უხამსი „პოეტი-არლეკინისა“, რომელმაც ლიტერატურის ისტორიაში საკუთარი ადგილის მონიშვნა და „სიდიადის“ წარმოჩენა თვით გალაკტიონის წინააღმდეგ უღირსი – პირდაპირი თუ ირიბი – ბრძოლითაც სცადა.

წერილში „იუდასავით გამცემია ხანდახან რითმა“ თეიმურაზ დოი-აშვილი გივი ალხაზიშვილის შემოქმედების მაგალითზე გვიჩვენებს, თუ რა შედეგამდე შეიძლება მიიყვანოს პოეტი თვითმიზნურმა გატაცებამ რითმით; პამფლეტში „და შენს წინაშე ვდგავარ ტიტველი“ კი კრიტიკოსი ამავე ავტორის „ეროტიკული“ ლირიკის ფსიქოანალიტიკური მიმოხილვით წარმოგვიჩენს, რომ ჭარმაგი მელექსის მხრიდან ინტიმური თემებისადმი გამოვლენილი გადაჭარბებული ინტერესი სინამდვილეში არა მისი ახალგაზრდული, ჩაუქრალი პოეტური ტემპერამენტის, არამედ ღრმა კრიზისის, შემოქმედებითი იმპოტენციის მაჩვენებელია. პამფლეტში გამოვლენილია თანამედროვე მწერალთა ერთი ნაწილის საერთო სენი – ზედაპირული დამოკიდებულება ლიტერატურული კლასიკისადმი, რამაც ალხაზიშვილის შემთხვევაში ასეთი კუროზის ფორმა მიიღო: დასახელებულმა ავტორმა დავით გურამიშვილის

დრმად ქრისტიანული პოემა „მხიარული ზაფხული“ ისე გამოაცხადა „ზნეობრივ კოდექსებზე მაღლა მდგომ ნაწარმოებად“, რომ ხეირიანად არც ჰქონდა წაკითხული.

თეიმურაზ დოიაშვილის თხზულებათა ხუთტომეული ქართული ფილოლოგიისა და, ზოგადად, ჰუმანიტარული მეცნიერების ფასეული შენაძენია. აქ წარმოდგენილ გამოკვლევებს, წერილებსა და ესეებს არამხოლოდ თავისი დროის ამსახველი ლიტერატურული დოკუმენტის მნიშვნელობა აქვს, არამედ ღირებულია თანამედროვე ქართული ლიტერატურათმცოდნეობის არაერთი პრობლემური საკითხის გადასაჭრელად. მეცნიერისა და კრიტიკოსის შრომები და სტატიები იმის სახიერ ნიმუშადაც გვევლინება, თუ როგორი პასუხისმგებლობით უნდა იწერებოდეს მწერლობაზე, ლიტერატურაზე.

Levan beburishvili

Natia Sikharulidze

„A Time to Gather Stones“

(About the Publication of Teimuraz Doiashvili's Five-Volume Works)

Summary

Keywords: Georgian Literature; galaktionology; Teimuraz Doiashvili

Teimuraz Doiashvili is well known for both the scientific-literary community and a wide circle of readers. His diverse areas of interest include literary history and theory, versification, galaktionology, and criticism. Doiashvili's research, letters, and monographs are collected in a comprehensive five-volume set. This article provides an analysis of this five-volume collection.

The first volume of works includes essays, reviews, and polemical articles dedicated to issues in the history of Georgian literature. These pieces are distinguished not only by their solutions to various topics but also by the novelty of their questions. In these writings, which address problems in the history of Georgian literature, the works of our classics (Sulkhan-Saba Orbeliani, Nikoloz Baratashvili, Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, and others) are analyzed not only in terms of the development of national literature but also in the context of European philosophical and theoretical literary thought. These works exemplify complex literary research, as the author does not limit himself to any single methodology but employs various research methods synchronously, according to the specifics of each research issue.

In the last twenty years, Teimuraz Doiashvili has focused extensively on galactionological research. The second volume of his works brings together various scientific studies dedicated to the creativity of Galaktion Tabidze. Each article within this volume contains one or more significant galactionological discoveries. While these discoveries vary in scale, each is of such quality that future galactionologists cannot afford to ignore them. These publications serve as a reliable and noteworthy reference point for researchers aiming to study Galaktion's work in depth.

Teimuraz Doiashvili is a specialist in versification with a precise focus on poetry composition. He has authored works on the poetry of Teimuraz Permieri, Archili, Davit Guramishvili, Nikoloz Baratashvili, Ilia Chavchavadze, Vazha-Pshavela, and Galaktion Tabidze. Additionally, he has written two monographs: "Euphonia of Poetry" and "Anjambemani." The versification studies included in the third volume of his writings span over fifty years of scholarly work.

Teimuraz Doiashvili's contribution to Georgian literary criticism is significant. Coming from a scientific background, he exemplified the importance of thorough theoretical preparation for a critic to become a professional in the field. The fourth volume of his writings collects letters aimed at analyzing current literary processes. Doiashvili is not only a practicing critic but is also deeply interested in the challenges and tasks facing literary criticism. The last part of the fourth volume includes the author's interviews and responses to literary questionnaires, where he shares noteworthy opinions on the current literary process, Georgian criticism, and the issues confronting theoretical-literary thought.

The fifth and final volume of Teimuraz Doiashvili's works opens with the book "Galaktion Uncensored." It is no coincidence that 150 unusual stories about the genius poet were not included in the special volume on galaktionology but were instead printed alongside texts the author describes as amusing literary studies. This volume also features Doiashvili's critical monograph "Tarieli's Will," Chanturological studies, and two pamphlets: "I am Sometimes Given a Rhyme Like Judas" and "And I Stand Before You with a Title." These publications address the crisis situation in modern Georgian literature.

The five-volume collection of Teimuraz Doiashvili's works is a valuable asset for Georgian philology and the humanities in general. The research, letters, and essays presented here are important not only as literary documents reflecting their time but also for addressing several problematic issues in modern Georgian literary studies. Doiashvili's works and articles serve as a tangible example of the responsibility required when writing about literature.